„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

---

27 თებერვალი 2026

ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის მეთორმეტე საკლუბო ჩემპიონატი
2010-2012 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

29 მარტი
2026
თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია.
- ძიუდოს კლუბური სისტემის განვითარება საქართველოში
- იმ კლუბების გამოვლენა, რომლებიც იასპარეზებენ ფინალურ ეტაპზე, როგორც "ოქროს ლიგაში", ასევე "I ლიგაში".

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2010-2012 წლებში დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები, რომელთა კლუბი ოფიციალურად იქნება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში და გაივლის რეგისტრაციას ძიუდოს ფედერაციაში. კლუბი, რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას საკლუბო ჩემპიონატში ვალდებულია წარმოადგინოს საჯარო რეესტრიდან კლუბის ამონაწერი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია 2026 წლის 19 მარტამდე. რაც შეეხება კლუბებს, რომლებიც მონაწილეობდნენ წინა ჩემპიონატებში, საკმარისია წარმოადგინონ მხოლოდ განცხადება საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის შესახებ. თითოეულ კლუბს წონაში შეუძლია 2 ძიუდოისტის დარეგისტრირება.

IV. შეჯიბრების პირობები, დრო, ადგილი, რეგისტრაცია, კენჭისყრა.

- შეჯიბრება ჩატარდება 29 მარტს თბილისში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღე 28 მარტი, წასვლის დღე - 30 მარტი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00.

რეგისტრაცია

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა აკრედიტაცია და განაცხადების მიღება იწარმოებს 2026 წლის 22 მარტამდე. აკრედიტაციის გავლა ასევე შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტში ელექტრონული ფოსტით registr.gjf.@gmail.com
- განაცხადის ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელია საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან.
- შენიშვნა: აკრედიტაციის გავლის გარეშე კლუბები კენჭისყრაზე და შესაბამისად შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან !!!

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;

- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო). დამატებითი დრო განისაზღვრება „ოქროს ქულამდე“.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ გუნდურ პირველობაში 5 წონით კატეგორიაში: -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, +73კგ;
- შეჯიბრებაში უნდა გამოვლინდეს 16 საუკეთესო კლუბი, რომელიც იასპარეზებს „ოქროს ლიგაში“. მეოთხედფინალში გასული 8 კლუბი პირდაპირ მოიპოვებს „ოქროს ლიგის“ ლიცენზიას. კიდევ 8 კლუბი გამოვლინდება დამამშვიდებელ წრეში.

VI. აწონვა

- აწონვები ჩატარდება 28 მარტს ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
  არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათებში;
  ოფიციალური 17:00 – 18:00 საათებში.
- მონაწილეები ვალდებულნი არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი - პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი/ფაქსი 0322516466; registr.gjf.@gmail.com
კონტაქტი: ზურაბ უსუფაშვილი 577994407.

PS.

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი კიმანოს ქონა.
- ის კლუბები, რომლებიც შეჯიბრებაზე გამოიყვანენ სხვა კლუბის სპორტსმენებს მოიხსნებიან, როგორც ამ შეჯიბრებიდან, ასევე 3 წლის განმავლობაში მიეცემათ დისკვალიფიკაცია. კლუბს სპორტსმენის გამოყვანის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ ეს სპორტსმენი მინიმუმ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში მაინც ვარჯიშობს ამ კლუბის რომელიმე მწვრთნელთან და მას არ უასპარეზია სხვა კლუბში წინა საშეჯიბრო წლის განმავლობაში.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე